ი/მ "გიორგი ჭივაძე"

ს/კ 01021002814, tkeproeqti@gmail.com, მობ: 571 900030

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი **26 თებერვალი 2021 წ**

მისამართი:

ქალაქი თბილისი, ჩიხი სომხეთის, N 10-ის მიმდებარედ(ნაკვეთი:39/002);

საკადასტრო კოდი:

01.17.07.039.002

ფართობი:

1827.00 კვ.მ.

დამკვეთი:

სსიპ"ქლაქ თბილისის მუნიციპალიტეტი" ID ნომერი:204521794;

საექსპერტო ობიექტის ზოგადი მდგომარეობის აღწერა-შეფასება/კვლევის მეთოდი:

საკვლევი ობიექტის რელიეფი ვაკეა. აღწერა -შეფასება მოხდა ვიზუალური დათვალიერებით. საექსპერტო დასკვნას თან ახლავს არსებული სიტუაციური ფოტოსურათები.

ცხრილი№1

№	სახეობა	სასიცოცხლო ფორმა	D (ფს.ყ. 10სმ-ზე)	მცენარის ზოგადი მდგომარეობა	შენიშვნა
1	ქლიავი (Prunus domestica)	ხე	10	ჯანსაღი	ხილკენკროვანი ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას
2	კაკალი (Juglans regia)	ხე	16	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას

3	კაკალი (Juglans regia)	ხე	21	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
4	კაკალი (Juglans regia)	ხე	15	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
5	კაკალი (Juglans regia)	ხე	20	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
6	ატამი (Prúnus pérsica)	ხე	5	ჯანსაღი	ხილკენკროვანი ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას
7	ნეკერჩხალი (Acer rubrum)	ხე	4	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
8	ნეკერჩხალი (Acer rubrum)	ხე	4	ჯანსაღი	ორკაპი ნაბარტყით ექვემდებარება გადარგვას
9	ნეკერჩხალი (Acer rubrum)	ხე	4	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
10	ნეკერჩხალი (Acer rubrum)	ხე	3	ჯანსაღი	ორკაპი ნაბარტყით ექვემდებარება გადარგვას
11	ნეკერჩხალი (Acer rubrum)	ხე	4	ჯანსაღი	მრავლობითი ნაბარტყით ექვემდებარება გადარგვას
12	ნეკერჩხალი (Acer rubrum)	ხე	6	ჯანსაღი	მრავლობითი ნაბარტყით ექვემდებარება გადარგვას
13	ნეკერჩხალი (Acer rubrum)	ხე	7	ჯანსაღი	ორკაპი ექვემდებარება გადარგვას
14	ნეკერჩხალი (Acer rubrum)	ხე	7	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
15	ნეკერჩხალი (Acer rubrum)	ხე	8	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას

ტერიტორიაზე არსებული ხე–მცენარეების რაოდენობა : 15

ხილკენკროვანი ხე–მცენარეები :2

გადარგვას დაქვემდებარებული ხე–მცენარეები : 15

ხმობადი ხე–მცენარეები : -

ზეხმელი ხე–მცენარეები :-

კერძოდ:

იხ.ცხრილი№1

1.მაღალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვანი ხე-მცენარე 4 ძირი:

4ძირი(№ 2, 3, 4, 5) - კაკალი(Juglans regia).

2. იაფი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვანი ხე-მცენარე 26 ძირი:

9ძირი(№ 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15) - ნეკერჩხალი(Acer rubrum).

3. ხილ-კენკროვან სახეობათა ხე-მცენარე 2 ძირი:

12სმ და ნაკლები დიამეტრის ხე-მცენარე 2 ძირი:

1ძირი(№ 1) - ქლიავი(Prunus domestica);

1ძირი(№ 6) - ატამი(Prúnus pérsica).

25 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის ჯანსაღი ხეების გადარგვა:

გადარგვა უნდა მოხდეს არასავეგეტაციო პერიოდში შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების გათვალისწინებით და უსაფრთხოების პირობების სრული დაცვით. ხის გადარგვამდე უნდა მოხდეს კომის ფიქსირება ჯვალოში ან ბადეში.

დასარგავი ორმოს სიდიდე დამოკიდებულია მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე. სარგავი ორმოს სიგრძე და სიგანე 90 სმ-ით, ხოლო სიღრმე 20- 25 სმ-ით მეტი უნდა იყოს ხის კომზე. კომსა და ორმოს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიანი ნიადაგის ნაზავით , რომელთა შემადგენლობა განისაზღვრება ინდივიდუალურად. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ. სიღრმეზე, შემდეგ კი მოხდეს 20-25 სმ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა. ხე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს განსაკუთრებული სიფრთხილით ,რათა დარგვის დროს არ დაიშალოს მიწის კომი. არ დაზიანდეს მცენარის ღერო , ფესვთასისტემა და ვარჯი. ხის დარგვის შემდეგ აუცილებელია ღეროს დაფიქსირება რამოდენიმე მხრიდან , რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალურად ხის სიდიდიდან გამომდინარე. სარგავ ორმოში იყრება მიწის ნაზავი და იტკეპნება, ხოლო დარგული ხის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი და მოხდეს მისი მულჩირება. ხის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს მისი მორწყვა სრულ გაჯირჯვებამდე.

ხის მოვლა უზრუნველყოფილი უნდა იყოს გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში. ხის გადარგვის შემდგომ მაისიდან სექტემბრის ჩათვლით უნდა მოხდეს მცენარის მორწყვა არანაკლებ ორჯერ. ზამთრის თბილ და მშრალ პერიოდში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხის მორწყვა უნდა ჩატარდეს თვეში ერთჯერ. თითოეული მცენარისთვის წყლის ოდენობა დამოკიდებულია გადარგული მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 150 ლიტრს (მორწყვის კალენდარი და ჯერადობა განისაზღვრება ინდივიდუალურად) . მორწყვის საუკეთესო დროა დილით 11-12 საათამდე და საღამოს 8 საათის შემდეგ.

დარგვის შემდეგ სამი წლის განმავლობაში თვეში ერთჯერ უნდა განახლდეს სარწყავი ჯამები, მოხდეს მიწის გაფხვიერება , სარეველა ბალახებისგან გაწმენდა. ფოთლოვანი ხის შემთხვევაში ფესვის ყელიდან ამონაყრის მოცილება. ხის დარგვის პირველი წლიდანვე

საჭიროა ჩატარდეს დარგულ მცენარეზე დავადებების და მავნებლების წინააღმდეგ ჩასატარებელი ღონისძიებები სპეციალისტის მიერ მომზადებული ინსტრუქციით.

ხის გადარგვის მეორე წელს, ადრე გაზაფხულზე ,(ვეგეტაციის დაწყებამდე) სარწყავ ჯამებში უნდა მოხდეს სერტიფიცირებული მინერალური და ბიოლოგიური სასუქების შეტანა და მორწყვა. სასუქების შეტანა უნდა განმეორდეს მცენარის დარგვიდან მესამე წელს.(შესატანი სასუქების რაოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად) დარგვიდან სამი წლის შემდეგ მცენარეს უნდა მოეხსნას ხის დასაფიქსირებელი საშუალებები.

ექსპერტი: გიორგი ტივაძე.

























PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT



დამკვეთი:		მისამართი:	თბილისი, ხომხითის ქუჩა №10 მიმდებარედ (ნაკვეთი 39/002)
პირობითი ნიშნები			ი.მ. გიორგი ლაგვილავა
		დირექტორი	გ.ლაგვილავა
		შეასრულა	გ.ლაგვილავა
		მ. 1:500	თარიღი: 11.02.2021 წ

PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT
PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT
PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT

PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT



წერილის ნომერი: **18-0122013404**
თარიღი: **13/01/2022**
პინი: **8039**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01213583106
წერილის თარიღი:	24 დეკემბერი, 2021
განმცხადებელი:	მინური აბულაძე
განაცხადის N	AR1852593
მისამართი	ქ. თბილისი, სომხეთის ჩიხი N10-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 39/002)
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.17.07.039.002
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	გამწვანების პროექტის შეთანხმება
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები/ გრგ	**ბრძანება №** 5373545 თარიღი: 20 აპრილი, 2021
არსებული შეზღუდვები	-------
ფართობ(ებ)ი:	1827 კვ.მ
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს ,,არომა“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გამწვანების პროექტი
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი; საქართველოს კანონის ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული,

როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ,,ბ“ „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტები; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის“ 25-ე მუხლის მე-5 პუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია:

გაცნობებთ, რომ გამწვანებული სივრცის მოსაწყობად, დასარგავად შემოთავაზებული 21 ძირი ნერგი (11 ძირი უნგრული ცაცხვი, 10 ძირი ამბრის ხე), ასევე, ტერიტორიაზე არსებული ჯანსაღი 13 ძირი მწვანე ნარგავი (4 ძირი კაკალი, 9 ძირი ნეკერჩხალი, მათ შორის - 6 ძირი, იმავე ტერიტორიაზე გადასარგავი ნეკერჩხალი: N11-4სმ; N10-3სმ; N9-4სმ; N7-4სმ; N8-4სმ; N12-6სმ) სრულად ითვისებს განმცხადებლის მიერ შემოთავაზებულ სავალდებულოდ ასათვისებელ გამწვანების **ფართობს** (**456.75** კვ.მეტრს). გასამწვანებლად შემოთავაზებული მცენარეები შერჩეულია ქ. თბილისის კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით. **ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.**

გამწვანების საინფორმაციო დაფის ესკიზზე უნდა მიეთითოს სრულყოფილი ინფორმაცია ტერიტორიაზე არსებული ხეების და დასარგავი ნერგების რაოდენობის შესახებ, საპროექტო მცენარეთა ექსპლიკაციის შესაბამისად.

გამწვანების საინფორმაციო დაფის ნიმუშზე უნდა მიეთითოს დასარგავი ნერგების პარამეტრების (სიმაღლის, გარშემოწერილობის) შესახებ ინფორმაცია.

ვინაიდან უნდა დაირგას ფოთლოვანი ჯიშის მცენარეები, განმცხადებელმა დასარგავად უნდა გაითვალისწინოს არანაკლებ 3.5 მეტრი სიმაღლის ნერგები (გარშემოწერილობა არანაკლებ - 20 სანტიმეტრი).

ასევე გაცნობებთ, რომ ვინაიდან გამწვანების საინფორმაციო დაფის ესკიზზე, დასარგავი და გადასარგავი მცენარეების მოვლა პატრონობაზე პასუხისმგებელ პირად, შპს ,,არომას“ დირექტორია (მინური აბულაძე) მითითებული, ხოლო ბანერზე დატანილია სხვა ორგანიზაციის (შპს ,,პერსპექტივა) დასახელება შეცდომით, შესაბამისად, აღნიშნული ხარვეზიც უნდა შესწორდეს მითითებულის შესაბამისად.

ინფორმაციისთვის

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

გაცნობებთ, რომ საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

დამატებით გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის 51-ე პუნქტი).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი